გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 146

2023 წლის 11 აგვისტო

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებიდან (ს/კ 66.50.07.336) 19 კვ.მ–ის პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის, თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 12 აპრილს შემოსულია განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქორდში მდებარე ს/კ 66.50.07.336 უძრავი ქონებიდან 1 ოთახის (19 კვ.მ) იჯარის ფორმით გადაცემა.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2023 წლის 18 ივლისის N203-ქ, ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით (მისამართი: სოფელი ქორდი), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ 66.50.07.336 მიწის ნაკვეთზე (დაზუსტებული ფართობი - 421კვ.მ) განთავსებული შენობა-ნაგებობიდან (საერთო ფართი - 68.53 კვ.მ) 19 კვ.მ - ის საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 10,000.00 (ათი ათასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი იჯარის ფორმით გადაცემა ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.
გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.50.07.336 უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობა) საერთო ფართობის 68.53 კვ.მ.–დან 19 კვ.მ. ფართის, აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც

საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად განისაზღვროს იჯარის ფორმით გადასაცემი ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ საწყისი ყოველწლიური ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქორდში მდებარე ს/კ 66.50.07.336 უძრავი ქონებიდან (შენობა-ნაგებობა) 19 კვ.მ გაცემულ იქნეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით.
2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ 66.50.07.336 მიწის ნაკვეთზე (დაზუსტებული ფართობი - 421კვ.მ) განთავსებული შენობა-ნაგებობიდან (საერთო ფართი - 68.53 კვ.მ) 19 კვ.მ - ის საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 10,000.00 (ათი ათასი) ლარით.
3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.
4. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი: სოფელ ქორდში მდებარე ს/კ 66.50.07.336 უძრავი ქონებიდან (შენობა-ნაგებობა) 19 კვ.მ იჯარის ფორმით გადაცემულ იქნეს საგანმანათლებლო, შემეცნებითი სივრცის მოწყობის მიზნით. ასევე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს).

5.იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 1 (ერთი) წლის ვადით.

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**